ახალი ხედვა კაპიტალიზმის, სოციალიზმისა და კაცობრიობის მომავლის ირგვლივ

კაცობრიობის ისტორიის, დღევანდელობისა და მომავლის სხვადასხვა ხედვა არსებობს. მეცნიერულმა კვლევამ ახალი მიდგომის საფუძველზე ისტორიული პროცესი შესაძლებელია ორიგინალურ წარმოდგენამდე მიიყვანოს. ამის მაგალითად წარმოგვიდგება ცნობილი ეკონომისტის, ფილოსოფოსის, სოციოლოგისა და პუბლიცისტის გიორგი მალაშხიას ახალი ფუნდამენტური გამოკვლევა: „კაპიტალიზმისა და კომუნიზმის სიძლვილი. გლობალური მეტამორფოზები და კაცობრიობის მომავალი. ჰუმანოიზმი“ (886 გვ.), რომელიც ევროპულმა გამომცემლობაბამ Palmarium academic publishing-მა გამოსცა.

წიგნისთვის დამახასათებელია ორიგინალური მეთოდოლოგია. იგი საზოგადოების ცხოვრების მოვლენებს იხილავს საკაცობრიო ფასეულობათა, განსაკუთრებით ეთიკურობისა და სამართლიანობის თვალსაზრისით. ავტორს ასევე შემოაქვს კვლევის ახლებური ხერხები, კერძოდ, ანთროპოცენტრული მიდგომა - საკვლევო ობიექტის განხილვა ადამიანთა მოთხოვ-

ნილებებისა და მწარმოებლური პოტენციალის თვასაზრისით, მომარჯვებულია აგრეთვე აქსიოლოგიური - ფასეულობითი კუთხით და ევდემონსტური - ბედნიერების ასპექტით მოვლენათა ანალიზი. ავტორი ეყრდნობა გენეტიკურ, მემკვიდრეობითი ფაქტორის მხრივ ხედვასაც. ყოველივე ამის შედეგად იგი ორიგინალურად წარმოგვიდგენს ისტორიულ პროცესს, მოვლენათა ბუნებას, წარსულსა, დღევანდელობასა და მომავალს. ამ ნაშრომის ერთ-ერთი მთავარი დამახასიათენელი თვისებაა ის, რომ მასში მრავლადაა ინოვაციური მიდგომები და ხედვები, დებულებები.

ისტორიული პროცესი ნაშრომში განხილულია საკაცობრიო ფასეულობათა, უწინარესად ეთიკურობისა და სამართლიანობის კუთხით. ამის საფუძველზე ნაჩვენებია სხვა ფასეულობათა - თავისუფლების, თანასწორუფლებიანობისა და ა.შ მდგომარეობაც ისტორიული ეტაპების, როგორც პროგრესის საფეხურების, მიხედვით.

კაპიტალიზმამდელი საზოგადოებების პირობებში ეთიკურობისა და სამართლიანობის მდგომარეობისა და მათი დამკვიდრებისათვის ბრძოლის მოკლედ განხილვის შემდეგ ავტორი გადადის კაპიტალიზმის საფუძლიან ანალიზზე, მისი პოზიტივებისა და ნეგატივების ჩვენებაზე. საგულისხმოა, რომ, არსებული შეხედულებებისაგან განსხვავაებით, პროგრესი კაპიტალიზმის ეპოქაში წარმოდგენილია როგორც ადამინის - ისტორიის შემოქმედის - ინტელექტუალური განვითარების, განათლების, მეცნიერების, ტექნოლოგიური სრულყოფის პროდუქტი, რასაც მოჰყვა თვით კაპიტალზმის წარმოშობა. დამაჯერებლადაა წარმოდგენილი კაპიტალიზმის ეპოქის პროგრესული მიღწევები ეკონომიკის, კულტურის, პოლიტიკის დარგში. ამასთან ავტორი დამაჯერებლად აშუქებს კაპიტალიზმის ნეგატივებს ცივილიზაციის ფონზე. ესაა განსაკუთრებით წარმოების საშუალებათა მიმართ ადამიანთა არათანაბარი დამოკიდებულება მათზე კაპიტალისტური

საკუთრების არსებობის პირობებში, დაქირავებული, როგორც დამოკიდებული შრომის არსებობა, დოვლათის უაღრესად უსამართლო განაწილება და ამის შედეგად უსაზღვრო და მზარდი ქონებრივი უთანასწორობა საზოგადოებაში, წარმოების ანარქია, არასტაბილურობა, კრიზისები ეკონომიკაში, ინფლაცია და ფასების უსაზღვრო ცვლილებები, უმუშევრობა, პოლიტიკური სისტემის, დემოკრატიის ხარვეზები და ა.შ. საბოლოო ანგარიშით, სიღრმისეული ანალიზით დადასტურებულია, რომ კაპიტალიზმი ვერ პასუხობს ცივიზაციის მაღალ დონეს, გადაუწყვეტელს ტოვებს ისტორიის შემდგომი ეტაპისათვის ცხოვრების მრავალ პრობლემას. ამის საყოველთაო გაცნობიერებას და ამ მიმართულებით განვითარებას ავტორი ისტორიის უმნიშვნელოვანეს გამოწვევად თვლის.

გიორგი მალაშხიას ნაშრომში ერთობ ვრცლად და დამაჯერებლადაა წარმოდგენილი სოციალიზმის ადგილი ისტორიაში. ნაჩვენებია, რომ მას ღრმა ისტორიული ფესვები აქვს მსოფლიოს ხალხების ცხოვრებაში. სოციალისტური ცხოვრების წესის ელემენტარული ნიშნები გვხვდება სხვადასხვა ხალხის ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე. სოციალიზმის ძირფესვიანი პრაქტიკული რეალიზაცია, რაც მეოცე საკუნეში განხორციელდა მსოფლიოს მრავალი ხალხის ცხოვრებაში და სოციალიზმის გამოცდა ნაჩვენებია თავისი წინააღმდეგობებით. ავტორმა ნათლად დაგვანახა, რომ მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის შესატყვისად სოციალიზმის დამკვიდრება არ აღმოჩნდა სწორი გზა, რადგან ის იყო ისტორიული პროცესის შეცვლა ძალადობრივი, რევოლუციური მეთოდით, ახალი საზოგადოების მშენებლობის მცდელობა სათანადო პირობების მომწიფების გარეშე. ეს კი დაკავშირებული იყო ადამიანთა დიდი რაოდენობის მსხვერპლთან და უზარმაზარ ნგრევასთან, ფასეულობათა მოსპობასთან. სოციალიზმმა ვერ უზრუნველჰყო საზოგადოების იდეალების რეალიზება, საჭირო სოციალური და ეკონომიკური განვითარება, ცხოვრების სა-

სურველი პროგრესი. ამან გარე მიზეზებთან ერთად, კიდეც გამოიწვია სოციალიზმის დამარცხება მრავალ ქვეყანაში.

ამასთან სოციალიზმი საბოლოოდ არ გამქრალა. იგი არსებობს მსოფლიოს საკმაოდ დიდი ნაწილში, რიგ ქვეყნაში აზიასა და ამერიკაში, რაც იმისი დასტურია, რომ სოციალისტური ცხოვრების წესის ელემენტებს თავისი ადგილი აქვს ისტორიაში.

ავტორმა მრავალი პრაქტიკული ფაქტის საფუძველზე გვიჩვენა, რომ როგორც კაპიტალიზმის, ისე კომუნიზმის ნიშნები ორივე საზოგადოების პირობებში არსებობს როგორც საერთო საკაცობრიო რეალობის ელემენტები. კაპიტალიზმის დროს ადგილი აქვს საერთო (სახელმწიფო, ჯგუფურ და სხვა) საკუთრებას, საერთო-სახალხო ინტერესებისათვის საზოგადოების რესურსების გამოყენებას, სოციალურ უზრუნველყოფას და ა. შ.. სოციალიზმის დროს კი მოქმედებს კაპიტალიზმის კომპონენტები - საქონელი, ფული, ბაზარი, ფინანსური ინსტრუმენტები და სხვა. სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობის ეს საერთო ელემენტები, განსახილველი ნაშრომის მიხედვით, გვიჩენებს მათი თავისებურებების შეფარდებითობას და მთლიანობაში ადამიანური ცხოვრების გარკვეულ ერთიან ნიშნებს.

გიორგი მალაშხიამ დამაჯერებლად წარმოაჩინა, რომ კაპიტალიზმი და სოციალიზმი ვერ უზრუნველყოფენ ადამიანთა ცხოვრების მაღალ იდეალებს - მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებებს, ეთიკურობას და სამართლიანობას, ესთეტიკურობას, საბოლოოდ ნამდვილ ადამიანურობას, ჰუმანურობას. ამ წიგნის ავტორი კაცობრიობის უტყუარ მომავალს უცილობლად ხედავს ადამიანთა განვითარების მაღალ, კაპიტალიზმის შემდგომ და სოციალიზმის შემდგომ დონეში, რომლის დროსაც ინტელეტუალურ-ცნობიერებითი საფეხური უზრუნველჰყოფს ახალ ეთიკურ რევოლუციას, ადამიანის მიერ საკუთარი თავისა და ბუნების შემეცნებას მაღალ

დონეზე, ადამიათა ინტერესების შესაბამისად, ადამიანის გათავისუფლებას მისი სიმახინჯეებისაგან - ბოროტების, სიძულვილის, აგრესიის, ანგარების, სიხარბისაგან და სხვა, გადასვლას ეგოიზმის სამყაროდან ალტრუიზმის სამყაროში, ჭეშმარიტების ტრიუმფს, სიყვარულის არეალად დედამიწის გადაქცევას.

ამრიგად, ოპტიმისტურ ნოტაზე დასრულება, კაცობრიობის მომავლის ნათელ ფერებში დანახვა სრულიად ლოგიკურია გიორგი მალაშხიას ნაშრომისათვის და აუცილებელი ადამიანებისათვის, რასაც მისი კვალიფიციური მკითხველიც უთუოდ გაიზიარებს.

გიორგი მალაშხიას წიგნი მნიშვნელოვანია როგორც ეკონომიკური თეორიის მრავალ სიახლის შემცველი სიმდიდრის ზრდის, ადამიანთა კეთილდღეობის, დოვლათის განაწილების, ფასწარმოქმნის, მოხმარების შესახებ და სხვა. ამდენდ იგი მნიშვნელოვანი შენაძენია საზოგადოებრივი მეცნიერებებისათვის.

რევაზ შენგელია
ემდ, სტუ პროფესორი;

გიორგი შუბლაძე
ემდ, პროფესორი

ნათია შენგელია
ედ, სტუ ასოცირებული
პროფესორი